


საქართველოდან წასული ქალი მიგრანტების ცხოვრება და ადაპტაცია  
ნეაპოლში

მარიამ ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციოლოგის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, ასისტენტ-პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, 2023

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ ნოზაძე

17.01.2023

## **აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში, მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ქალების ყოფას და ადაპტაციის თავისებურებებს. ემიგრაციაში ყოფნა ახალ გამოცდილებებს და ახალი იდენტობის ფორმირებას გულისხმობს, რასაც თან ახლავს ისეთი გამოწვევები, როგორცაა, ერთი მხრივ, სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნება და მეორე მხრივ, მასპინძელ ქვეყანასთან და მის კულტურასთან ინტეგრაცია.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ნეაპოლში მცხოვრები ქართველი ქალი მიგრანტების ადაპტაციის პროცესის შესწავლა მათი ყოველდღიურ გამოცდილებების ანალიზზე და ასევე, მიგრანტების შესახებ გადაღებულ ფილმებზე დაყრდნობით. კვლევის დასახული მიზნების მისაღწევად, გამოყენებულ იქნა თვისებრივი მიდგომა, კერძოდ, ნარატიული ანალიზი და კონტენტ ანალიზი. ამ მიდგომით შესაძლებელი გახდა სიღრმისეულად შესწავლილიყო მიგრანტთა გამოცდილება, პრაქტიკები და პრაქტიკებს მიღმა განცდები.

კვლევამ აჩვენა, რომ ის ყოველდღიურობის კულტურულ პრაქტიკები, რომელსაც ქართველი ქალი ემიგრანტები აწარმოებენ ქალაქ ნეაპოლში, განსაზღვრულია კომპლექსური ფაქტორებით, რაც, პირველ რიგში, უკავშირდება ახალი იდენტობის კონსტრუირების მექანიზმს. ემიგრანტთა პირადი გამოცდილება, მათი სოციალური სტატუსი, მიმღები საზოგადოების თავისებურებებთან ერთად, ახდენს გავლენას მათი იდენტობის სტრატეგიაზე.

## **ძირითადი სიტყვები**

მიგრაცია, ნარატიული იდენტობა, ინტეგრაცია, სამშობლოსთან მიკუთვნებულობა.

## **Abstract**

The present paper discusses the living circumstances and the peculiarities of adaptation to migration processes of Georgian female immigrants living in Italy, specifically in the city of Naples. In the wake of the emigration processes, it is noticeable that the number of people interested in the latter is increasing. Which is an interesting phenomenon both in the world and in Georgia. Migration is a new reality and plane in the life of individuals, which affects their identity and experiences in different ways. On the one hand, this process is related to the intensified demand to strengthen the connection with the homeland, and on the other hand, to the peculiarities of integration with the host culture.

The aim of the study was to study the ways of adaptation of Georgian female migrants living in Naples to the emigration processes, based on the analysis of their daily experiences. . To achieve the set goals of the research, a qualitative approach was used, namely, narrative content analysis. With this method, it was possible to study in depth the respondents' experience, the practices embedded in the behavior, and the feelings behind the practices.

The research showed that the daily cultural practices carried out by Georgian women immigrants in Italy, specifically in the city of Naples, are determined by complex factors, which are primarily related to the mechanism of constructing a new identity. The personal experience of immigrants, their social status, together with the features of the host society, influence their identity strategy.

**Key Words:** Migration, narrative identity, integration, belonging to the homeland

## მადლობა

მადლობას ვუხდით, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნინო რჩეულიშვილს, გაწეული დახმარებისა და რჩევებისათვის, ასევე, მადლობას ვუხდით, კვლევაში ჩართულ თითოეულ რესპონდენტს გაზიარებული გამოცდილებისათვის.